



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით (შემდგომში - ბიბლიოთეკა) სარგებლობის წესები ეფუძნება საქართველოს კანონს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებას.

მუხლი 1. გაწვევრიანება

1.1. ბიბლიოთეკაში შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტების გაწვევრიანება ხდება ავტომატურად უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების ძალაში შესვლისთანავე. სტუდენტების პირად მონაცემებს ბიბლიოთეკას აწვდის უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესების მართვის სამსახური.

1.2. უნივერსიტეტის პერსონალის და სხვა მკითხველების რეგისტრაცია ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 2. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობა

2.1. საბიბლიოთეკო რესურსის მკითხველზე გაცემა/არ გაცემა დამოკიდებულია მასალის კატეგორიაზე, ეგზემპლარების რაოდენობაზე და მოთხოვნის სიხშირეზე.

2.2. ნაბეჭდი ერთეული - წიგნი, რომლის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია დაცული საბიბლიოთეკო ფონდში არ გაცივდება. ასეთი რესურსით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში.

2.3. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული წიგნის ერთი ეგზემპლარია დაცული ბიბლიოთეკაში, მაგრამ მასზე ყოველდღიური მოთხოვნა არ არის, მისი გატანა შესაძლებელია.

2.4. მკითხველს უფლება აქვს ბიბლიოთეკიდან ერთროულად გაიტანოს 5 წიგნი.

მუხლი 3. გატანის ვადები და დაბრუნება

3.1. სახელმძღვანელოს გატანის და დაბრუნების ვადა (თუ ფონდში დაცულია საჭირო რაოდენობა) შეადგენს - 1 სემესტრს.

3.2. დამხმარე ლიტერატურის გატანის და დაბრუნების ვადა შეადგენს 15- 30 დღეს.

3.3. მხატვრული ლიტერატურის გატანის და დაბრუნების ვადა შეადგენს 2 კვირას.

3.4. მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი დროულად დააბრუნოს ბიბლიოთეკაში, დაბრუნების შესახებ ინფორმაცია მკითხველს მიეწოდება პირადად წიგნის გატანისას, ასევე ელექტრონული ფოსტით.



- 3.5. გატანილი რესურსის სხვა მკითხველების მიერ აქტიურად მოთხოვნის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია დროზე ადრე დააბრუნოს რესურსი. ამის შესახებ მას ინფორმაცია მიეწოდება ელექტრონული ფოსტით ან სატელეფონო შეტყობინებით.
- 3.6. თუ წიგნზე მოთხოვნა არ არის მკითხველს შეუძლია წიგნის დაბრუნების გადავდება მოთხოვოს, როგორც პირადად ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- 3.7. გატანილი წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია ჩაანაცვლოს ის იმავე დასახელების წიგნით ან იმავე სახის სხვა მოთხოვნადი საბიბლიოთეკო ერთეულით, ბიბლიოთეკართან შეთანხმების საფუძველზე.
- 3.8. დიპლომის აღების წინ სტუდენტი ვალდებულია სრულად დაფაროს ბიბლიოთეკის დავალიანება. ბიბლიოთეკის დავალიანების მქონე სტუდენტზე დიპლომი არ გაიცემა.

მუხლი 4. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

- 4.1. მკითხველი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- 4.2. მკითხველი ვალდებულია გაუფრთხილედეს და არ დააზიანოს ბიბლიოთეკის მატერიალურ ტექნიკური ბაზა.
- 4.3. მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკის მდუმარე ზონა გამოიყენოს მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობისთვის.

მუხლი 5. ბიბლიოთეკის სამუშაო საათები.

- 5.1. ორშაბათი -პარასკევი: 10:00 -21:00 სთ;
- 5.2. შაბათი: 10:00-18:00 სთ.